

ეს საჯარო პოლიტიკის ნარკვევი ერთ-ერთია მწვანე ალტერნატივას მიერ მომზადებული ანალიტიკური ნაშრომებიდან, რომლებიც ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის აქტუალურ საკითხებს ეხება. მისი მიზანია წამოწიოს საჯარო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში გადაუდებლად გადასაჭრელი საკითხები და ხელი შეუწყოს დისკუსიას ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და გარემოსდაცვითი მიზნების ჰარმონიულად მიღწევის გზებზე.

წარმოდგენილი ნარკვევი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისა და პირებისთვის, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს საქართველოს საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის საკითხებზე. ნაშრომი, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, ვინც ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს საჯარო პოლიტიკაზე, მისი გაუმჯობესების მიზნით.

## ენერგეტიკული სიღარიბე საქართველოში: ფართო ხედვის საჭიროება<sup>1</sup>

### შესავალი

მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევროპაში, ენერგეტიკული სიღარიბე ბოლო წლების პოლიტიკური და საზოგადოებრივი დისკუსიების ერთ-ერთ ცენტრალურ თემად იქცა. აღნიშნული განაპირობა კლიმატის ცვლილებამ, ენერგომატარებლებზე ფასების მკვეთრმა ზრდამ და რუსეთის თავდასხმამ უკრაინაზე. საქართველოში, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში, ენერგეტიკული სიღარიბის თემას ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ენერგეტიკული სიღარიბის მაგალითები უკვე მრავლადაა - საქართველოს სოფლები და ქალაქები საკუთარ თავზე განიცდიან ენერგეტიკულ სიღარიბესა და მის შედეგებს. უფრო მეტიც, ენერგეტიკული სიღარიბის პრობლემა საქართველოში წლის ყველა სეზონზე დგას. კლიმატის ცვლილების გამო კი, კიდევ უფრო მოიმატებს ცხელი დღეების რაოდენობა საქართველოში<sup>2</sup>, რაც გაგრილების საშუალებებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის ფონზე, გაზრდის ენერგეტიკული სიღარიბის მასშტაბებს. ახლახანს გამოქვეყნებული „ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის“ და „ეროვნული ინტეგრირებული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის“ სამუშაო ვერსიები ენერგეტიკულ სიღარიბეს

1 წინამდებარე პოლიტიკის მოკლე შინაარსი ეფუძნება ლიტერატურის მიმოხილვას და მიგნებებს კვლევიდან „ენერგეტიკული სიღარიბის ცხოვრებისეული გამოცდილება საქართველოში“. კვლევა დაფინანსებულია Fuel Poverty Research Network-ის მიერ და ხელმისაწვდომია ამ ბმულზე: <https://www.fuelpovertyresearch.net/projects/the-lived-experience-of-energy-poverty-in-georgia/>.

2 USAID, „კლიმატური რისკის პროფილი. საქართველო.“, 2017, <https://shorturl.at/eGMR3>

ცალკე საკითხად განიხილავს. თუმცა, ქვეყანაში ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევისთვის გაცილებით მეტის გაკეთებაა საჭირო.

შემდეგ თავებში, განმარტებულია ენერგეტიკული სიღარიბის ცნება, დეტალურად არის განხილული საქართველოში ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევის მიმდინარე და შემოთავაზებული პოლიტიკის მიმართულებები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენერგეტიკული სიღარიბის ცნების გაფართოებას და სოფლისა და ქალაქის განსხვავებული საჭიროებების მიმოხილვას ენერჯის სხვადასხვა წყაროებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით.

## 1. ენერგეტიკული სიღარიბე

### მოკლე მიმოხილვა

ბოლო წლებში ენერგეტიკული სიღარიბე გახდა ფართო განხილვის საგანი აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში<sup>3</sup>. დისკუსიები ძირითადად მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები მოსახლეობისთვის ენერგეტიკული სერვისების ფორმებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობასთან<sup>4</sup>. მაგალითად, ბრაზილიაში შემოსავლის დონე განსაზღვრავს საწვავის ტიპის არჩევანს: დაბალშემოსავლიანი ოჯახები საწვავად შეშას, ხოლო მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახები გათხევადებულ ნავთობის აირს იყენებენ<sup>5</sup>. ამასთან, არსებობს სხვა ქვეყნების მაგალითებიც, სადაც დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები მაღალშემოსავლიან ოჯახებთან შედარებით ენერჯიაზე საშუალოდ ორჯერ მეტსაც კი ხარჯავენ<sup>6</sup>. ხშირად ენერგეტიკული სიღარიბე ღიად არ ჩანს, მაგალითად, მაშინ როცა „[ოჯახის] მთლიანი შემოსავალი მოსალოდნელი საოჯახო ხარჯების გამოკლების შემდეგ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია“<sup>7</sup>.

3 ქრისტინ ლიდელი, „საწვავის სიღარიბე წლების მანძილზე: 21 წლის კვლევისა და პოლიტიკის აღნიშვნა“, ენერგეტიკული პოლიტიკა 49 (ოქტომბერი 2012)012): 2–5, <https://doi.org/10.1016/j.enpol.2012.02.036>.

4 მიკელ გონსალეს ვეინო, ენერგეტიკული სიღარიბე: მიმოხილვა“, განახლებადი და მდგრადი ენერჯის მიმოხილვები 47 (2015 წლის ივლისი): 1377–85, <https://doi.org/10.1016/j.rser.2015.03.013>; ბენჟამინ კ. სოვაკული., „რა მოძრაობს და მუშაობს: ენერგეტიკული სიღარიბის მიმოხილვის გაფართოება“, ენერგეტიკის პოლიტიკა 42 (მარტი 2012): 715–19, <https://doi.org/10.1016/j.enpol.2011.12.007>.

5 სუანი ტეიშეირა კოელიო და სხვები., „თხევადი ნავთობის გაზისთვის საწვავის შეშით ჩანაცვლების ენერგეტიკული გარდამავალი ისტორია ბრაზილიის ოჯახებში 1920 წლიდან 2016 წლამდე“, ენერგეტიკული პოლიტიკა 123 (დეკემბერი 41–52), <https://doi.org/10.1016/j.enpol.2018.08.041>.

6 ანა ზსოფია ბაჯომი, ნორა ფელდმარი და სერხიო ტირადო-პერერო, „გაეხვევა თუ არა ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების გეგმები კვამლში? უნგრეთის NECP-ის შეფასება მყარი საწვავის მომხმარებელთა მოწყვლადობის ობიექტივის მეშვეობით, <https://doi.org/10.3390/su132313047>.

7 ლილია კარპინსკა და სლავომირ შმიეხი, „უხილავი ენერჯის სიღარიბე? საბინაო ხარჯების ანალიზი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში“, ენერგეტიკის კვლევა და სოციალური მეცნიერება 70 (დეკემბერი, <https://doi.org/10.1016/j.erss.2020.101670>.

მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკული სიღარიბის ხელშემწყობი ძირითადი მიზეზი ხშირად შემოსავალთან არის დაკავშირებული, კვლევებით დადასტურებულია სხვა ხელშემწყობი ფაქტორების არსებობაც. ამრიგად, ენერგეტიკული სიღარიბე სისტემური პრობლემაა, რომელიც მოიცავს როგორც ინდივიდუალურ (მაგ., დაბალი შემოსავალი, შეზღუდული შესაძლებლობები, ასაკი) და სოციალურ პირობებს (სათანადო ინფრასტრუქტურაზე წვდომა), ასევე, უფრო ფართოდ, პოლიტიკურ გარემოსაც<sup>8</sup>. უფრო მეტიც, ენერგეტიკული სიღარიბე აღიარებულია როგორც მრავლისმომცველი ფენომენი, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ განათებასთან, საკვების მომზადებასა და გათბობა/გაგრილებასთან, არამედ მობილობაზე წვდომასა და ენერჯის სხვა მიზნებით გამოყენებასთანაც<sup>9</sup>. მაგალითად, კვლევებმა აჩვენა, რომ დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებს სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებით შეზღუდული არჩევანი აქვთ - ისინი ძირითადად ფეხით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილდებიან. პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება, როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი საერთოდ არ არსებობს (მაგ., საქალაქთაშორისო მგზავრობის უზრუნველსაყოფად) ან არ არის სანდო, ან როცა ავტომობილებისთვის და სხვა მოტორიზებული საშუალებებისთვის განკუთვნილი საგზაო ინფრასტრუქტურა ცუდია (მაგ. სოფლების შემთხვევაში)<sup>10</sup>. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა ბოლოდროინდელმა შეფერხებებმა და ონლაინ მუშაობასა და სწავლაზე გადასვლამ კი გამოკვეთა ტელეკომუნიკაციებსა და ინტერნეტზე ფართო წვდომის მნიშვნელობაც.

ბოლოს, აღსანიშნავია საუბრები ენერგეტიკული სიღარიბის აღმოფხვრის გზებზე, რაც სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. გლობალურად, მოსალოდნელი კლიმატის ცვლილების გამო, ქვეყნები ცდილობენ შეამსუბუქონ მათი ენერგეტიკული სისტემების დამოკიდებულება წიაღისეულ საწვავზე. ეს პროცესი არაერთგვაროვან გავლენას იქონიებს მოსახლეობაზე. მაგალითად, ისინი, ვინც უკვე განიცდიან ენერგეტიკულ სიღარიბეს საკუთარ თავზე, შესაძლოა, გაცილებით მეტად დაზარალდნენ. არსებული უთანასწორობის გამწვავების თავიდან ასაცილებლად კი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ არის დაკავშირებული ენერგეტიკული გარდაქმნა - ტრანსფორმაცია - ენერგეტიკულ სიღარიბესთან. უკრაინაში ომის დაწყებისთანავე ევროპაში ენერგომატარებლებზე ფასები

8 ლუსი მიდლმისი და სხვები., “ენერგეტიკული სიღარიბე და სოციალური ურთიერთობები: უნარების მიდგომა,” ენერგეტიკის კვლევა და სოციალური 55 (სექტემბერი 2019): 227–35, <https://doi.org/10.1016/j.erss.2019.05.002>.

9 გრემ შერიფი, ფილიპ ბრაუნი და დანიელ ბატლერი, „მომავლის მიმართულებები საწვავის სიღარიბის კვლევისთვის: დელფის კვლევა“ (სალფორდის უნივერსიტეტი. მდგრადი საცხოვრებელი და ურბანული კვლევების განყოფილება,, 2019), <https://www.fuelpovertylibrary.info/content/future-directions-fuel-poverty-research-delphi-study> ;

10 სოვაკული და სხვები, “რა მოძრაობს და მუშაობს; გონსალეს ევინო, ენერგეტიკული სიღარიბე“;

მკვეთრად გაიზარდა. ამან კიდევ უფრო დააჩქარა<sup>11</sup> ენერგეტიკული სიღარიბის დასაძლევად მოკლე და გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღების საჭიროება.

## 2. ენერგეტიკული სიღარიბე საქართველოში – პოლიტიკის მიმართულებები

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ენერგეტიკული სიღარიბე შედარებით ახალი ცნებაა. ენერგეტიკული სიღარიბის საკითხი უკვე აისახა საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის (NEP) და ეროვნული ინტეგრირებული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმის (NECP) სამუშაო ვერსიებშიც და არსებობს რამდენიმე საკანონმდებლო აქტი, რომელიც „მოწყვლადი მომხმარებლებისთვის“ განსაზღვრავს ენერგო სუბსიდიებს (ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი) სოციალური დახმარების ფარგლებში.

2022 წლის 15 დეკემბერს საქართველოს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტი (NEP) გამოაქვეყნა დანართთან ერთად (ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა (NECP)). დოკუმენტის 4.8 ნაწილი ენერგეტიკული სიღარიბის თემას ეძღვნება. დოკუმენტში ენერგეტიკული სიღარიბე განისაზღვრება, როგორც<sup>12</sup> „მდგომარეობა, როდესაც ადამიანებს არა აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ ღირსეული ცხოვრებისა და ჯანმრთელობისათვის საჭირო გათბობა, გაგრილება, განათება და ელექტრომომწყობილობებისათვის საჭირო ენერგია ხელმისაწვდომ ფასად. ენერგეტიკული სიღარიბე ტექნიკური, ფინანსური თუ სხვა სახის ბარიერების გამო, საკმარისი რაოდენობის ენერჯის მოხმარების შესაძლებლობის არქონაზე მიუთითებს. ენერგეტიკულად ღარიბია ოჯახი, რომელიც სათანადოდ ვერ ათბობს/აგრილებს სახლს, იყენებს ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ შეშის ღუმელებსა თუ გაზის გაუმართავ მოწყობილობებს, ან ენერგიაზე გაწეული დანახარჯები შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს

---

11 იაკობ ფევეილ ადოლფსენი და სხვები, „უკრაინის ომის გავლენა ევროზონის ენერგეტიკულ ბაზრებზე“, ECB ეკონომიკური ბიულეტენი, ივნისი. 21, 2022,

[https://www.ecb.europa.eu/pub/economic-bulletin/focus/2022/html/ecb.ebbox202204\\_01~68ef3c3dc6.en.html](https://www.ecb.europa.eu/pub/economic-bulletin/focus/2022/html/ecb.ebbox202204_01~68ef3c3dc6.en.html).

12 “ეროვნული ენერჯის პოლიტიკა საქართველოში (პროექტი)”, დეკემბერი 2022, 84, <https://nea.gov.ge/Ge/GZSH/1209>

შეადგენს და ამიტომ, იძულებულია, პირადი კომფორტისა და ჯანმრთელობის ხარზე, დაზოგოს ენერჯია”<sup>13</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი აღიარებს ენერგეტიკულ სიღარიბეს, როგორც კომპლექსურ, მრავალმხრივ ფენომენს, ის ყურადღებას მხოლოდ გათბობა-გაგრილებასა და განათებაზე ამახვილებს და არ ითვალისწინებს ენერგეტიკულ სიღარიბეს ფართო ჭრილში - ისე, როგორც ეს ამ დოკუმენტის წინა ნაწილშია განხილული.

NEP-ის მიხედვით, ენერგეტიკულად ღარიბი ოჯახების იდენტიფიცირებისთვის შემუშავდება ინდიკატორები და მეთოდოლოგია, ხოლო ენერგეტიკული სიღარიბის აღმოფხვრისკენ მიმართული ქმედებები ინტეგრირდება ენერგეტიკულ და სოციალურ პოლიტიკაში. პრიორიტეტული იქნება გრძელვადიანი მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც მიმართული იქნება პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე. დოკუმენტში მითითებული ქმედებები მოიცავს: შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას, შენობებისთვის ენერგოეფექტურობის სერტიფიცირების სქემების შემუშავებას, მცირე მასშტაბის განახლებადი ენერჯის დანადგარების გამოყენების წახალისებას, საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიებს და სოციალურად დაუცველი მომხმარებლებისთვის სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავებას. დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია, რომ ის მიზნად ისახავს ენერგო-სიღარიბის აღმოსაფხვრელად სტრატეგიების შემუშავებას გამჭვირვალედ და საზოგადოების ჩართულობით - რეგიონული ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის მონაწილეობით.

საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სამუშაო ვერსია (NECP), სხვა საკითხებთან ერთად, ენერგეტიკულ სიღარიბესთან დაკავშირებით უფრო კონკრეტულ მიზნებს განსაზღვრავს. დოკუმენტის მიხედვით, მისი მიზანია 2030

---

13 The text is translated to English by the author of this policy brief. The original text in Georgian: ენერგეტიკული სიღარიბე არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანებს არა აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ ღირსეული ცხოვრებისა და ჯანმრთელობისათვის საჭირო გათბობა, გაგრილება, განათება და ელექტრომომწობილობებისათვის საჭირო ენერჯია ხელმისაწვდომ ფასად. ენერგეტიკული სიღარიბე ტექნიკური, ფინანსური თუ სხვა სახის ბარიერების გამო, საკმარისი რაოდენობის ენერჯის მოხმარების შესაძლებლობის არქონაზე მიუთითებს. ენერგეტიკულად ღარიბია ოჯახი, რომელიც სათანადოდ ვერ ათბობს/აგრილებს სახლს, იყენებს ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ შეშის ღუმელებსა თუ გაზის გაუმართავ მოწყობილობებს, ან ენერჯიაზე გაწეული დანახარჯები შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს და ამიტომ, იძულებულია, პირადი კომფორტისა და ჯანმრთელობის ხარზე, დაზოგოს ენერჯია.

წლისთვის ენერგეტიკული სიღარიბის პირობებში მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლის 43%-დან (2017 წლის მდგომარეობით) 15%-მდე შემცირება (მიზანი 4.1)<sup>14</sup>.

## 2.1 სახელმწიფო პროგრამები/პოლიტიკის დოკუმენტები ენერგეტიკული სიღარიბის თაობაზე

არსებობს პოლიტიკის დოკუმენტები ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე, რომელიც ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობის პრობლემის შემსუბუქებას ისახავს მიზნად. ეროვნულ დონეზე, მთავრობის #418<sup>15</sup> განკარგულების (2016 წლის 25 აგვისტო) მიხედვით, საქართველოს მაღალმთიან რაიონებში მცხოვრები მომხმარებლებისთვის ელექტროენერჯის ხარჯების 50%-ს (და 200 კვტ/სთ-მდე) სახელმწიფო ფარავს. #381<sup>16</sup> განკარგულებით (2015 წლის 30 ივლისი) კი განისაზღვრა, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი („სოციალურად დაუცველი“) ოჯახები სახელმწიფოსგან ელექტროენერჯის მოხმარებაზე სუბსიდიას მიიღებდნენ. სუბსიდია შეადგენს 3,95064 თეთრს კვტ/სთ-ზე (წელიწადში დაახლოებით 50 ლარი). #517<sup>17</sup> განკარგულება (2018 წლის 31 ოქტომბერი) უშუალოდ მრავალშვილიან ოჯახებს ეხება. ოჯახები, რომლებიც 300 000-ზე ნაკლებ სარეიტინგო ქულას დააგროვებენ და ოთხი შვილი ჰყავთ, თვეში 20 ლარის ოდენობით ელექტროენერჯის სუბსიდიას იღებენ, ხოლო ყოველი მომდევნო ბავშვისთვის თვეში დამატებით 10 ლარს. დადგენილება #18.1120.1557<sup>18</sup> (2018 წლის 26 დეკემბერი) კონკრეტულად ასახავს სუბსიდირების პროგრამას, რომელიც ფარავს ელექტროენერჯის, წყლისა და ნარჩენების მართვის მომსახურების საფასურს თბილისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან როგორც „სოციალურად

14 „საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა (NECP)“ (2022), 46, <https://nea.gov.ge/Ge/GZSH/1209>.

15 „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 აგვისტოს #418 განკარგულება „მთიან დასახლებულ პუნქტებში ელექტროენერჯის ტარიფის ყოველთვიური დაფარვის შესახებ“ (2016), <https://www.energo-pro.ge/uploads/tinymce/documents/418%2017.06.19.pdf>.

16 „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის #381 განკარგულება“ (2015), 3, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4475736?publication=0>.

17 „მრავალშვილიანი მშობლების სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის #517 განკარგულება (2018), 5, საქართველოს მთავრობის 31 წლის #517 განკარგულება. 2018 წლის ოქტომბერი თემაზე „მრავალშვილიანი მშობლების სოციალური დაცვის წესებისა და პირობების განსაზღვრა“.

18 „თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 დეკემბერს განკარგულება #18.1120.1557 „მუნიციპალური სამსახურების სუბსიდიების 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (2018), <https://www.energo-pro.ge/uploads/tinymce/documents/Tbilisi%20Munic%202019.pdf>.

დაუცველნი“. 70 000 სარეიტინგო ქულის ქვემოთ მყოფი ოჯახები 5 თვის განმავლობაში იღებენ 106 ლარს, ხოლო 70 000-დან 20 000-მდე ქულის მქონე ოჯახები თვეში 20 ლარს<sup>19</sup>.

NECP სამუშაო ვერსია ითვალისწინებს ელექტროენერჯის დიფერენცირებულ ტარიფებს, ელექტროენერჯის ყოველთვიური მოხმარების მიხედვით:

- შპს "თბილისის ელექტრომიწოდებელი კომპანიის" შემთხვევაში, ელექტროენერჯის მოხმარების ტარიფები დღგ-ს ჩათვლით განსაზღვრულია შემდეგნაირად<sup>20</sup>:

- 101 კვტ/სთ-მდე მოხმარების შემთხვევაში, ტარიფი შეადგენს დაახლოებით 0,1841 ლარსზე ოდნავ მეტს 1 კვტ/სთ-თვის;
- 101-დან 301 კვტ.სთ-მდე მოხმარების შემთხვევაში, ტარიფი შეადგენს დაახლოებით 0,22 ლარს 1 კვტ/სთ-თვის;
- 301 კვტ/სთ-ზე მეტი მოხმარების შემთხვევაში კი, პირები იხდიან დაახლოებით 0,265 ლარს 1 კვტ/სთ-ში.

- სს "ეპ ჯორჯია მიწოდებას" ტარიფები დღგ-ს ჩათვლით შემდეგნაირია:

- 101 კვტ/სთ-მდე მოხმარების შემთხვევაში, ტარიფი განსაზღვრულია დაახლოებით 0,177 ლარით 1 კვტ/სთ-თვის;
- 101-დან 301 კვტ.სთ-მდე, ტარიფი შეადგენს დაახლოებით 0,217 ლარს 1 კვტ/სთ-თვის;
- 301 კვტ/სთ-ზე მეტი მოხმარების შემთხვევაში კი, პირები იხდიან დაახლოებით 0,262 ლარს 1 კვტ/სთ-ში.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან გარკვეულწილად შეიცვალა ელექტროენერჯის ტარიფის სუბსიდირების სქემა, რომელიც ეხება სოციალურად დაუცველ უჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს. ამ სქემის მიხედვით, ნაზრდი ყოველ კვტსთ-ზე შეადგენს 3,5 თეთრს და ოჯახებს თვის განმავლობაში დაუფინანსდებათ 200 კვტსთ ელექტროენერჯია. თუკი ისინი მეტ ელექტროენერჯას მოიხმარენ, მაშინ 200 კვტსთ-ს ზემოთ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური თვითონ უნდა დაფარონ. ეს

19 საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული ეროვნული გეგმა (NECP).

20 საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებული ეროვნული გეგმა (NECP).88

უკანასკნელი გარემოება განსხვავდება წინა წელს მოქმედი სუბსიდირების სქემისგან, რომლის მოხედვითაც, თუკი ოჯახი 200 კვტსთ ელექტროენერჯიაზე მეტს თუ მოიხმარდა, იგი ირიცხებოდა კომუნალური სუბსიდირების სიიდან. სუბსიდირების ახალი სქემა მოქმედებს როგორც თბილისისთვის, ასევე რეგიონებისთვისაც<sup>21</sup>.

ბუნებრივი აირის მოხმარებლებს რაც შეეხება, მათი ორი კატეგორიისთვის არსებობს სოციალური დახმარების სქემა. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიანი დასახლებები, 15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე, თვეში 700 მ3 ბუნებრივ აირს უფასოდ იღებენ. მეორე კატეგორიაში კი შედის საოკუპაციო საზღვრის სიახლოვეს მცხოვრები ოჯახები, რომლებიც ზამთარში დაახლოებით 70 აშშ დოლარის ოდენობის შემწეობას იღებენ<sup>22</sup>.

## 2.2 ენერგოეფექტურობის პოლიტიკა

2020 წელს საქართველოს პარლამენტმა შენობა-ნაგებობების<sup>23</sup> ენერგოეფექტურობის შესახებ კანონი მიიღო, რომელიც შენობებისა და შენობის ნაწილების ენერგოეფექტურობის მოთხოვნებს და ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში წარმოქმნილ პასუხისმგებლობებს ეხება. უფრო კონკრეტულად, კანონი მოიცავს დებულებებს, რომლებიც შენობების ენერგოეფექტურობის გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგიის შემუშავებას, შენობების მინიმალური ენერგოეფექტურობის მოთხოვნებს, შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიცირებას, გათბობისა და კონდიციონერების სისტემების ინსპექტირებას ეხება.

---

21 თარხნიშვილი, ნ. (21 იანვარი, 2022). ელექტროენერჯის სუბსიდირებით 310 000 სოციალურად დაუცველი ოჯახი ისარგებლებს. რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31665127.html>

22 კვარაცხელია და სხვ.

23 „საქართველოს კანონი შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ (2020), <https://www.matsne.gov.ge/en/document/view/4873932?publication=0>.

### 3. ენერგეტიკული სიღარიბის ფართო ხედვა

#### 3.1 ხელმისაწვდომობა ძირითად ენერგორესურსებზე - საკვების მომზადება, განათება, გათბობა/გაგრილება, მექანიკური ენერჯია

ძირითადი ენერგეტიკული სერვისებია განათება, საკვების მომზადება და გათბობა/გაგრილება, რის დასაკმაყოფილებლად საქართველოში ენერჯიის სამი ძირითადი წყარო - ელექტროენერჯია, ბუნებრივი აირი და შეშა გამოიყენება. ამჟამინდელი სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის 99%-ს აქვს წვდომა ელექტროენერჯიაზე, ხოლო 68%-ს ბუნებრივ აირზე. ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის მიხედვით, მოსალოდნელია, რომ 2030 წლისთვის ხელმისაწვდომობა ბუნებრივ აირზე მოსახლეობის 95%-ს ექნება<sup>24</sup>.

შეშის მოხმარება სოფლად განსაკუთრებით მაღალია<sup>25</sup>. „ენერგომოხმარების მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ შეშის წილი გათბობისა და საკვების მომზადების პროცესში მაღალია და მოსახლეობის თითქმის ნახევარი მასზეა დამოკიდებული. შეშის არაეფექტურ დუმელებში წვა შეიძლება ენერგეტიკული სიღარიბის წყაროდ ჩაითვალოს, რაც თანამედროვე ენერჯიის წყაროების ნაკლებობის შედეგია“<sup>26</sup>. შეშის გამოყენებამ, განსაკუთრებით ღია წვის დროს, შეიძლება შენობის შიგნით ჰაერის დაბინძურება გამოიწვიოს. ეს უკანასკნელი კი ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზი შეიძლება გახდეს. ქალები, რომლებიც დიდ დროს ატარებენ სახლში - ამზადებენ საკვებს, უძღვებიან შიდამეურნეობას - შიდა ჰაერის დაბინძურებით უფრო მეტად ზარალდებიან<sup>27</sup>. რიგ შემთხვევებში, შეშის მოპოვებაც პრობლემებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში, აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ისაუბრა მიმდებარე ტყიდან შეშის მოპოვების სირთულეებზე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ლიცენზიის მიღება რთული პროცედურაა, ისევე როგორც, შეშის გამოტანა სახლიდან დიდი მანძილით დაშორებული ტყის მასივებიდან. მთიან ადგილებში ზამთარი

24 „საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკა (პროექტი).“

25 კვარაცხელია და სხვ., „ენერგეტიკული სიღარიბე. სახელმძღვანელო სახელმწიფო პოლიტიკისა და საჯარო დისკურსისთვის რეფორმის დროს. საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, რუმინეთი“

26 კვარაცხელია და სხვ., 18.

27 WeResearch, „საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგი“ (WECF საქართველო, 14 თებერვალი, 2020 წ.), <https://www.wecf.org/monitoring-the-implementation-of-the-sustainable-development-goals> - საქართველოში; კვარაცხელია და სხვ., „ენერგეტიკული სიღარიბე. სახელმძღვანელო სახელმწიფო პოლიტიკისა და საჯარო დისკურსისთვის რეფორმის დროს. საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, რუმინეთი“.

დიდხანს გრძელდება, რაც ენერგეტიკული სიღარიბის გათვალისწინებით, სეზონს განსაკუთრებით არაკომფორტულს ხდის.

ბუნებრივი აირის ხელმისაწვდომობისას თავს იჩენს უსაფრთხოების პრობლემები. მაგალითად, იყო შემთხვევები, როდესაც ბუნებრივი აირის დანადგარები უსაფრთხოების სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა, რასაც ფატალური შედეგი მოჰყვა. მოსალოდნელია, რომ ამ საკითხის გადასაჭრელად უფრო მკაცრი უსაფრთხოებისა და ტექნიკური სტანდარტების დანერგვა და განხორციელება იქნება საჭირო<sup>28</sup>.

რაც შეეხება ელექტროენერგიას, მისი მიწოდება მთელი ქვეყნის მასშტაბით თანაბრად საიმედო არ არის. ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხებით შესაძლოა განსაკუთრებით დაზარალებულ სოფლები. ჩვენი კვლევის თანახმად, შესაძლებელია ელექტროენერგია სოფელს მიეწოდებოდეს, მაგრამ ძალიან დაბალი ძაბვით. ასეთ დროს, ისეთი საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენება, როგორცაა მაგალითად სარეცხი მანქანა, შეუძლებელია. აღნიშნული მიუთითებს, რომ მოსახლეობას არ აქვს წვდომა ე.წ. მექანიკურ ენერგიაზე<sup>29</sup>, რომელსაც შეუძლია ადამიანის შრომის ნაყოფიერების გაზრდა და დროისა და ენერგიის დაზოგვა, განსაკუთრებით ქალებისთვის. მექანიკურ ენერგიაზე წვდომა მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაშიც. მექანიკურ ენერგიაზე წვდომას შეუძლია ისეთი საქმიანობების უზრუნველყოფა, როგორებიცაა მორწყვა, ნარგავების დამუშავება, წყლის ამოტუმბვა, ტრანსპორტირება, მცირე ზომის საწარმოო ობიექტების ოპერირება და ა.შ.

ბოლოს, საქართველოში საცხოვრებლების მხოლოდ 9%-ს აქვს კონდიციონერის<sup>30</sup> სისტემა. კლიმატის ცვლილების გამო, სითბური ტალღებისა და ცხელი დღეების რაოდენობის ზრდასთან (განსაკუთრებით ზაფხულში) ერთად, გაგრძელების სისტემებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა შექმნის მნიშვნელოვან პრობლემებს. საკითხი კიდევ უფრო გამწვავდება იმ პირობებში, როცა საქართველოში შენობების უმრავლესობა არ შეესაბამება ენერგოეფექტურობის მინიმალურ სტანდარტებსაც კი<sup>31</sup>.

28 WeResearch, „საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგი“; „საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკა (პროექტი).“

29 სოვაკული და სხვები, "რა მოძრაობს და მუშაობს".

30 კვარაცხელია და სხვ., „ენერგეტიკული სიღარიბე. სახელმძღვანელო სახელმწიფო პოლიტიკისა და საჯარო დისკურსისთვის რეფორმის დროს. საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, რუმინეთი“

31 კვარაცხელია და სხვ.,

### 3.2 ინტერნეტთან და ტელეკომუნიკაციასთან წვდომა

ენერგეტიკული სიღარიბის კომპლექსური ანალიზი უნდა სცდებოდეს ძირითადი ენერგეტიკული სერვისების ფარგლებს და მოიცავდეს წვდომას კომუნიკაციებსა და გართობის საშუალებებზეც (მაგ. ინტერნეტი). დღევანდელ ციფრულ სამყაროში ამ სერვისებზე წვდომა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს<sup>32</sup>. საქართველოში ინტერნეტისა და სატელეფონო კავშირის ნაკლებობა ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით სოფლად და მთიან რეგიონებში, მუდმივი პრობლემაა. ეს საკითხი განსაკუთრებით გამწვავდა Covid-19-ის პანდემიის დროს, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებები დისტანციურ სწავლებაზე გადავიდნენ. ინტერნეტთან წვდომის ნაკლებობა სოფლად მცხოვრებ მოსწავლეებსა და სტუდენტებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს. კომუნიკაციებსა და ინტერნეტზე წვდომის ნაკლებობა გავლენას ახდენს არა მხოლოდ ყოველდღიურ ცხოვრებაზე, არამედ იზღუდება განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობები, ისევე, როგორც სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობები.

## 4. დასკვნები და რეკომენდაციები

„ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკისა“ და მისი დანართის „ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული“ გეგმის პროექტებში, ენერგეტიკული სიღარიბე მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხადაა აღიარებული, რაც მისასაღებელია. თუმცა, ქვეყნის მასშტაბით ეს თემა ჯერ-ჯერობით არ განიხილება როგორც ენერგეტიკული პოლიტიკის ერთი-ერთ მთავარი საკითხი. მაგალითად, ენერგეტიკული სიღარიბე უნდა განიხილებოდეს საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის შესახებ ჩარჩო დოკუმენტში<sup>33</sup>. გარდა ამისა, დოკუმენტების სამუშაო ვერსიებში ენერგეტიკული სიღარიბე საკმაოდ ვიწროდაა განსაზღვრული და უმეტესად ეხება გათბობა/გაგრილებას და განათებას. ისეთი საკითხები, როგორიცაა მექანიკურ ენერგიაზე, ტრანსპორტირების საშუალებებზე, ინტერნეტსა და ტელეკომუნიკაციებზე წვდომა, ჩრდილშია მოქცეული. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ენერგეტიკული სიღარიბე არ განიხილება როგორც ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ერთ-ერთი კომპონენტი.

32 შერიფი, ბრაუნი და ბატლერი, „საწვავის სიღარიბის კვლევის მომავალი მიმართულებები: დელფის კვლევა“.

33 WeResearch, „საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების მონიტორინგი“.

NECP-ის პროექტის მიხედვით, 2030 წლისთვის ენერგეტიკულ სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი (მიზანი 4.1)<sup>34</sup> 43%-დან (2017 წლის მდგომარეობით) 15%-მდე უნდა შემცირდეს. ეს საკმაოდ ამბიციური მიზანია, რომლის მიღწევა ძნელი იქნება მხოლოდ სუბსიდირების პროგრამებზე დაყრდნობით. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროგრამები გრძელვადიან პერსპექტივაში ენერგეტიკული სიღარიბის შესამცირებლად შეიძლება ეფექტური არ იყოს.

ენერგეტიკული სიღარიბის დასაძლევად უფრო კომპლექსური მიდგომებია საჭირო. შემუშავებული გადაწყვეტილებები უნდა აერთიანებდეს ენერგეტიკულ და სოციალურ პოლიტიკას და მიზნად ისახავდეს მრავალი მიმართულებით მუშაობას. მაგალითად, ფინანსური დახმარების პროგრამების გარდა, პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიმართული უნდა იყოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ (მაგ., ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია, საგზაო ქსელები), საბინაო და მობილურობის სექტორების გაუმჯობესებისკენ, ინფორმაციისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისკენ და ა.შ. მაგალითად, პოლიტიკური გადაწყვეტილებები უნდა გულისხმობდეს ძველი და ცუდად დათბუნებული შენობებისთვის ენერგოეფექტური ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებას. ენერგეტიკული სიღარიბის საკითხებთან უნდა იყოს დაკავშირებული მობილურობაზე ხელმისაწვდომობა და საგზაო ქსელების განვითარება-შენარჩუნება, განსაკუთრებით სოფლად<sup>35</sup>.

განახლებადი ენერჯის დეცენტრალიზებული (განაწილებული) გამომუშავება შეიძლება განვიხილოთ როგორც ენერგეტიკული სიღარიბის შემცირების ღონისძიება, განსაკუთრებით სოფლად ან/და ქსელიდან დაშორებულ ადგილებში. ასეთი ინიციატივები შეიძლება განვითარდეს ადგილობრივ თემებთან თანამშრომლობით. NECP-ის პროექტში განახლებადი ენერჯის გამომუშავება მიჩნეულია როგორც ენერგეტიკული სისტემის მოქნილობის გაზრდის ერთ-ერთი ღონისძიება, მაგრამ ნათელი არ არის, იგი წარმოების დეცენტრალიზაციასაც გულისხმობს, თუ მხოლოდ არსებული პრაქტიკის გაგრძელებას. ამრიგად, ამ ღონისძიებასა და ენერგეტიკულ სიღარიბეს შორის პირდაპირი კავშირის დამყარება უმნიშვნელოვანესია და ხაზს უსვამს სოფლად განახლებადი ენერჯის დეცენტრალიზებული (განაწილებული) წარმოების მხარდაჭერის საჭიროებას. მაგალითად,

34 საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა (NECP), 46.

35 უსაფრთხო გზების არარსებობის მძიმე შედეგების ერთ-ერთი მაგალითია ბოლო უბედური შემთხვევა, როდესაც დასავლეთ საქართველოში, ლეჩხუმის მთიან რეგიონში, სკოლის მასწავლებელი სახლიდან სკოლამდე მიმავალი ზვავის მსხვერპლი გახდა ([https://mtisambebi.ge/news\)/item/1594-chqumi-qulbaqis-gzaze-mexyberma-masxavlebeli-gela-liparteliani-imsxverpla](https://mtisambebi.ge/news)/item/1594-chqumi-qulbaqis-gzaze-mexyberma-masxavlebeli-gela-liparteliani-imsxverpla))

მცირე მასშტაბის, დეცენტრალიზებული (განაწილებული) განახლებადი ენერჯის გამომუშავება სოფლად, შემაზე დამოკიდებულებას შეამცირებდა.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკის დოკუმენტებში მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ან ენერჯეტიკის სექტორში სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში ენერჯეტიკული სიღარიბის ცნების გაფართოება (ენერჯეტიკული პოლიტიკა და NECP) და შემდგომი გადაწყვეტილებების დივერსიფიკაცია აუცილებელია. კონკრეტულად, უნდა განისაზღვროს ენერჯეტიკული სიღარიბის ისეთი ინდიკატორები, რომლებიც შეძლებენ ასახონ ენერჯეტიკული სიღარიბის კომპლექსურობა და რომლებიც მხოლოდ ერთი ინდიკატორით არ იქნება შემოფარგლული (მაგ., შემოსავლის დონე). ინდიკატორების შემუშავებისას, სასარგებლო შეიძლება იყოს ევროკავშირის მიერ შემუშავებული აგრეგირებული ინდიკატორების შესწავლა-გამოყენება. ეს ინდიკატორები შედგება შემდეგი ოთხი ჯგუფისგან:

- **ინდიკატორები, რომლებიც აღარებენ ენერჯიაზე დახარჯულ თანხას საოჯახო მეურნეობების შემოსავალს:** ეს ინდიკატორი ზომავს ენერჯეტიკულ სიღარიბეს იმის მიხედვით, თუ რა თანხას ხარჯავს ოჯახი ენერჯიაზე შემოსავალთან მიმართებაში (მაგ. იმ ოჯახების რაოდენობა ან მათი პროცენტული წილი, ვისაც საკუთარი შემოსავლიდან წინასწარ განსაზღვრულზე მეტის დახარჯვა მოუწიათ ენერჯეტიკულ მომსახურებაზე);
- **თვითმეფასებაზე დაფუძნებული ინდიკატორები:** ოჯახებს უშუალოდ ეკითხებიან, თუ რამდენად ხელმისაწვდომია ენერჯია და შეუძლიათ თუ არა ენერჯიაზე გაწეული ხარჯების დაფარვა (მაგ. არის თუ არა სახლი საკმარისად თბილი ზამთარში და საკმარისად გრილი ზაფხულში);
- **უშუალოდ გაზომვადი დაფუძნებული ინდიკატორები:** ეს ინდიკატორები, ენერჯეტიკული სერვისების ადეკვატურობის დასადგენად, ზომავს ფიზიკურ ცვლადებს (მაგ. ოთახის ტემპერატურა);
- **არაპირდაპირი ინდიკატორები:** ენერჯეტიკულ სიღარიბეს ისეთი ასოცირებული ფაქტორების საშუალებით აფასებენ, როგორებიცაა კომუნალური გადასახადები, გათიშვების რაოდენობა, საცხოვრებლის მდგომარეობა და ცხოვრების ხარისხი.



ნარკვევი მომზადებულია სადიაკნოსა და მსოფლიოში პურის განვითარების პროტესტანტული სააგენტოს-პროტესტანტული განვითარების სამსახურის (Brot) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „ენერგეტიკის განვითარების პარადიგმის ცვლილება სამხრეთ კავკასიაში“ - ფარგლებში.

ნარკვევის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის შესაძლებელია არ გამოხატავდეს სადიაკნოსა და მსოფლიოში პურის განვითარების პროტესტანტული სააგენტოს-პროტესტანტული განვითარების სამსახურის (Brot) შეხედულებებს.

© მწვანე ალტერნატივა, 2023



მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179,  
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული  
ტელ.: 222 38 74  
[GREENALT@GREENALT.ORG](mailto:GREENALT@GREENALT.ORG)  
[WWW.GREENALT.ORG](http://WWW.GREENALT.ORG)

CEE Bankwatch  
Network